ნიკოლას იორგას «ოსმალეთის იმპერიის ისტორია»[1]

ნოდარ შენგელია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თურქეთის გამომცემლობა „იედითეფემ" გამოსცა რუმინელი ოსმანისტის, ნიკოლას იორგას ხუთტომიანი ნაშრომი „ოსმალეთის იმპერიის ისტორია". ხუთივე ტომი მოიცავს პერიოდს 1300 წლიდან 1912 წლამდე. ნაშრომის პირველ ტომში შესწავლილია 1300 – 1451 წლების ისტორია. პირველ ტომს წინ უძღვის ერჰან აფიონჯუს მოკლე შესავალი ნიკოლას იორგას „ისტორიის" გამოცემისათვის. აქვეა დაბეჭდილი პროფ. ჰალილ ინალჯიქის „ნიკოლას იორგას ცხოვრება და მოღვაწეობა", მისი შრომების სია, განხილულია ნიკოლას იორგას სქელტანიანი მონოგრაფიები.

წიგნის თურქულ ენაზე მთარგმნელია ნილუფერ ეფჩელი. წიგნის შესავლის ავტორი – ერჰან აფიონჯუ დიდი პატივისცემით მოიხსენიებს ნილუფერ ეფჩელის და აღნიშნავს წიგნის გამოცემის დიდ მეცნიერულ ღირებულებას, მიაჩნია იგი დიდ მოვლენად თურქულ ისტორიოგრაფიაში.

იორგას არაერთი პოსტი ეკავა რუმინეთში. იგი 1910-1940 წლებში იყო რუმინეთის აკადემიის ნამდვილი წევრი, ამასთან, ძალიან აქ-

---

Nikolae Jorga, Osmanlı İmparatorluğu Tarihi, I Cilt (1300-1451), çeviri Nilüfer Epçeli. Çeviri Kontrol Kemal Beydilli, Yeditepe. c. 2 (1451-1538). c. 3. (1538-1640). c. 4. (1640-1774). c. 5. (1774-1912).

ტიურად მოღვაწეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიის პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და ქვეყნის პრეზიდენტი. მან თანამდებობებზე ყოფნისას უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის ცხოვრებაში. იგი საუკეთესო ისტორიკოსად ითვლება რუმინეთში. მისი ნაშრომები თარგმნილია გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და სხვა ენებზე. ერთ-ერთი აღიარებული და ცნობილი ისტორიკოსია მსოფლიოში. 1908 წელს გერმანიაში გამოცემულ მსოფლიო ისტორიის სერიაში შესულია მისი „ოსმალეთის იმპერიის ისტორია". ეს თხზულება გააგრძელა 1908-1913 წლებში. იგი 1300 წიგნისა და 10000-ზე მეტი სტატიის ავტორია.

იორგა დაიბადა 1871 წლის 17 ივნისს რუმინეთის ჩრდილოეთით ქალაქ ბოტაშანიში. 19 წლისამ წარჩინებით დაამთავრა იაშის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. შემდეგ უმაღლესი განათლების მიღება განაგრძო გერმანიასა და საფრანგეთში. 1893 წელს მოიპოვა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ლაიფციგის უნივერსიტეტში. ხანგრძლივად მუშაობდა ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, სადაც მან უამრავი მასალა მოაგროვა რუმინეთის ისტორიისათვის. 1898-1899 წლებში ბუქარესტში გამოსცა რუმინეთის ისტორიის სამტომეული. ამავე პერიოდში მან ორ ტომად გამოსცა უცხოური წყაროები რუმინეთის ისტორიისათვის. იკვლევდა კილისა და აკერმანის შესახებ არსებულ წყაროებს. 1899-1916 წლებში გამოსცა ჯვაროსანთა შესახებ ექვსტომიანი ნაშრომი და სხვ. იორგა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება 1905 წლიდან. იგი აარსებს ყოველკვირეულ ჟურნალს. გარდა ამისა, 1907 წლიდან ქვეყნის გარეთ სცემდა ჟურნალს „რუმინელთა კულტურული ერთიანობის თაობაზე". 1910-1940 წლებში უდიდეს პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა. ომის დროს პარიზში იმყოფებოდა. იყო თავკაცი რუმინეთში დიდი ეროვნული საქმიანობისა. როგორც რუმინეთის მეისტორიე, პირველი მსოფლიო ომის დროს დაბრუნდა რუმინეთში.

„ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში" გადმოცემულია იორგას ისტორიული შეხედულებანი. ჰალილ ინალჯიქის მოკლე შესავლის შემდეგ ნაშრომს ერთვის ავტორის ორგვერდიანი წინასიტყვაობა, 1907

ნელს დაწერილი. შემდეგ იწყება ავტორის თხრობა ოსმალეთის იმპერიის ისტორიისა.

ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება ისლამამდელ პერიოდს. ავტორი საგანგებოდ იხილავს აღნიშნულ პერიოდს თურქული მოდგმის ტომებში. ეხება მათ ყოფა-ცხოვრებას, საქმიანობას, ერთმანეთთან ურთიერთობას. შემდეგ ავტორი განიხილავს ისლამის ხანის პირველ პერიოდს, ეხება თურქული ტომების ურთიერთობას მდინარე ამურსა და ბაიკალის ტბის რაიონში დამკვიდრებულ ტომებთან. შემდეგ განიხილავს აღმოსავლეთში არსებულ ცალკეულ თურქმანულ გაერთიანებებს შორის მიმდინარე ბრძოლებს, სელჩუკური პოლიტიკური წარმონაქმნების დაწინაურებას, რომლებმაც შექმნეს თავიანთი გაერთიანებანი და დაიწყეს დაპყრობითი ბრძოლები მთელს აღმოსავლეთში. ისინი ძალიან მალე აღმოჩნდნენ მცირე აზიასა და ირანის ტერიტორიაზე, სადაც დაამკვიდრეს სელჩუკთა სახელმწიფო, რომელიც მალე ცნო ხალიფამ.

ავტორი შემდეგ განიხილავს სელჩუკთა გამარჯვებას დანდანაკის ველზე და დასავლეთისაკენ მათ ლაშქრობებს. საქართველოსომხეთის დალაშქვრას, თოღრულ ბეგის სულთნობას, რომელიც ცნო ხალიფამ. ავტორს საინტერესო გამოცემები აქვს კავკასიაში თოღრულ ბეგისა და ალფ-არსლანის საქმიანობის თაობაზე. ავტორი საუბრობს ლიპარიტ ბაღვაშის დატყვევებაზე, მანასკერტის ბრძოლაზე, მის შედეგებზე და მნიშვნელობაზე თურქული სამყაროს მოსახლეობისათვის. საუბარია რომან დიოგენის ბედზე.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს სელჩუკთა საქმიანობასაც. კერძოდ, მელიქ შაჰის ურთიერთობას ნიზამ ალ-მულქთან, მათ გარდაცვალებას და ქვეყნად შექმნილ ვითარებას. სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ავტორი ეხება მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას, ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს. განხილულია ალფ-არსლანის გარდაცვალების შემდეგ სელჩუკების მიერ კილიკიის მთების დაპყრობა და მათი იქ დამკვიდრება; მთელი ანატოლიის თურქიზაციის პროცესის დაწყება და მთელი მცირე აზიის პროვინციების გათურქება.

ავტორი საკმაოდ ზოგადად გადმოსცემს ანატოლიის სელჩუკთა ისტორიას. შემდეგ განიხილავს სელჩუკთა სახელმწიფოსა და ჯვაროსნულ ლაშქრობებს. ნაშრომში საკმაოდ ფართოდაა განხილული ჯვაროსნული ლაშქრობები (გვ. 110-138).

შემდეგ ავტორი ეხება სელჩუკთა სახელმწიფოს უკანასკნელ განმგებელს (გვ.. 139-154). ნაშრომის მომდევნო ნაწილში წარმოდგენილია მცირე აზიის სელჩუკების ურთიერთობა მონღოლებთან, სელჩუკთა სასტიკი დამარცხება და ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს საბოლოო დაცემა და გადაშენება. ავტორი ამით ამთავრებს თხრობას სელჩუკებზე და იწყებს ოსმალეთის იმპერიის ისტორიას (გვ. 157-191). იგი ამ თავს ასე ასათაურებს – ოსმან ბეი და მისი დასასრული.

ავტორი საგანგებოდ გვიყვება ოსმალთა სახელმწიფოს წარმოქმნის შესახებ. მსჯელობს პირველი ოსმალო ბეგების მიერ წარმოებულ ბრძოლებზე ანატოლიასა და ევროპის მიმართულებით. საუბრობს მათ წარმატებებზე.

შემდეგ საუბარია მურად I-ის ლაშქრობებსა და მის წარმატებებზე ბალკანეთში, სადაც აშკარად გამოიკვეთა სულთნის დაუოკებელი სწრაფვა ევროპისაკენ; სულთნის ძალების შეტაკებებზე ლათინთა გაერთიანებებთან 1366-1369 წლებში. ოსმალები თანდათან იკრებდნენ ძალებს და დიდი ბრძოლებისათვის ემზადებოდნენ. ისინი თანდათანობით მიიწევდნენ წინ ევროპისაკენ, მაგრამ, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, დიდ წინააღმდეგობას წაანყდნენ სერბებთან ბრძოლაში, სადაც დაიღუპა სულთან მურად I. მისი ადგილი დაიკავა მისმა შვილმა სულთან ბაიაზიდ I-მა. მანამდე ნაშრომში აღწერილია ანატოლიაში მიმდინარე ბრძოლები ქრისტიანულ გარემოცვასთან.

ნაშრომში აღწერილია სულთან ბაიაზიდ I-ის მბრძანებლობა და მის მიერ ჩატარებული ღონისძიებები. ბაიაზიდ I-ის მიერ თავისი ძმებისა და ბიძების ჩამოშორება, მათი სიკვდილით დასჯა. ბაიაზიდის მიერ ბრძოლების დაწყება ბალკანეთსა და ანატოლიაში. ნაშრომში ცალკეა საუბარი ანატოლიაში წარმოებულ ბრძოლებზე. ასევე საგანგებოდაა განხილული ანგორასთან მომხდარი ბრძოლა

და ბაიაზიდის დატყვევება. შემდეგ ნაჩვენებია ოსმალთა სახელმწიფოს ერთიანობისათვის წარმოებული ბრძოლები. ასევე ნაჩვენებია ბრძოლები, რომლებიც გაიმართა ძმებს, ისასა და მუსას შორის ტახტის დაკავებისათვის. მუსა ჩელებიმ შეძლო ტახტის დროებითი დაკავება. შემდეგ ნაშრომში წარმოდგენილია ბაიაზიდ I-ის დროინდელი საზღვრების გაფართოების საკითხი. საამისოდ წარმოებული ბრძოლები (1413-1441 წწ.).

შემდეგ ავტორი განიხილავს ოსმალთა სასულთნო ტახტის დაკავებას მაჰმუდ I-ის შვილის, მურად II-ის მიერ, 1421 წელს შეჰზადეს აჯანყების სასტიკად ჩახშობას, რამდენიმე საბეგოს შემოერთებას. 1434-1435 წლებში ოსმალებსა და უნგრელებს შორის დაწყებულ მტრობას. ნაშრომის პირველი ტომი სრულდება ქვეყნის კულტურული ცხოვრების აღწერით.

იორგას ისტორიის მეორე ტომი მოიცავს ოსმალეთის ისტორიას 1451-1538 წლებში. იგი წარმოდგენილია ორ წიგნად. პირველ წიგნში საუბარია პერიოდზე ბაიაზიდ II-იდან სულეიმან I-მდე. ტომს წინ უძღვის 1908 წელს დაწერილი პატარა წინასიტყვაობა. ნაშრომი იწყება სულთან მეჰმედ II-ის ტახტზე ასვლით და სტამბოლის დაპყრობით.

შემდეგ მოთხრობილია სულთან მეჰმედ II-ის მიერ დუნაის აუზში სერბებისა და უნგრელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებზე. აღწერილია სერბებთან არაერთი ბრძოლის მოგების შემდეგ ოსმალების მიერ ბელგრადის გარემოცვა და რამდენიმე ბრძოლის ჩატარება დუნაის აუზში, ბრძოლები იანოშ ჰუნიადთან 1455 წლისთვის, ოსმალების მიერ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მნიშვნელოვანი ადგილების დაპყრობა.

ევროპასა და ანატოლიაში სულთან მეჰმედის მბრძანებლობისას განხილულია სერბთა არეულობანი, ბოსნიის შემოერთება, სულთან მეჰმედის ბრძოლები დუნაის აუზში რუმინელთა და უნგრელთა წინააღმდეგ, ოსმალების მიერ უნგრელების გადასახადების გაზრდა და მათ წინააღმდეგ ბრძოლების განახლება.

განხილულია ჯვაროსანთა ლაშქრობები და ქრისტიანთა გამოსვლა მეჰმედ II-ის წინააღმდეგ, ბრძოლები ანატოლიაში, ლაშქრობები ევროპაში, სულთნის მიერ ანატოლიაში ტერიტორიების შე-

მომტკიცება და თავისი პოლიტიკის განმტკიცება. 1471 წელს საქართველოს მეფის, კონსტანტინეს მიერ ელჩის გაგზავნა ვენეციაში, მზადყოფნა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობისათვის.

ნაშრომის მეორე ტომის მეორე ნაწილი იწყება სათაურით: ოსმალეთის იმპერია ბაიაზიდ II-იდან სულეიმან I-მდე. აქ განხილულია ბაიაზიდ II-ის ტახტზე ასვლა. ბრძოლა ძმებს შორის. ჯემ სუთნის იზოლაცია, შემდეგ ბაიაზიდ II-ის სახელმწიფო პოლიტიკა. ანატოლიის მდგომარეობა. სულთნის მიერ განხორციელებული პოლიტიკა დუნაიში. ბაიაზიდ II-ის დროს ალბანეთის, სლავებისა და მორავიის მდგომარეობა. სასახლის ლაშქრის მდგომარეობა. მოჯანყე შვილის, სელიმ I-ის ტახტზე ასვლა და ბაიაზიდ II-ის გარდაცვალება. სულთან იავუზის ევროპული პოლიტიკა. სულთნის მიერ ანატოლიაში წარმოებული ბრძოლები, მისი ბრძოლები შაჰ ისმაილისა და მამლუქთა სულთნის წინააღმდეგ. სირიისა და ეგვიპტის ხელში ჩაგდება. სულთან სულეიმან კანუნის ახალგაზრდობა, ვეზირებისა და ახლობლების მონაწილეობა ანატოლიაში წარმოებულ ბრძოლებში, სულთნის ლაშქრობა ევროპაში. დაზავება ვენეციელებთან, როდოსის დაპყრობა. მოლდოვას შემოერთება. სულთან სულეიმან კანუნის დროინდელ ოსმალთა ცხოვრება.

იორგას ისტორიის მესამე ტომი იწყება 1538 წლით და გრძელდება 1640 წლამდე. ისე როგორც სხვა ტომებს, მესამე ტომსაც აქვს ერთფურცლიანი შესავალი. შემდეგ საუბარია თურქთა მიერ უნგრეთის ეიალეთის ჩამოყალიბებაზე. გადმოცემულია ოსმალეთის სახელმწიფოს ურთიერთობა საფრანგეთთან, ესპანეთთან, ვენეციასთან, პოლონეთთან და მოსკოვთან; ანატოლიის მდგომარეობა სულთნის ცხოვრების ბოლო წლებში. ტახტისათვის ბრძოლა შვილებს შორის. ირანთან დაპირისპირებანი. მოცემულია ცნობები დადიანზე, საქართველოზე, დევშირმეს ორგანიზაციასა და მის წარმოქმნაზე.

შემდეგ საუბარია სულთან სელიმ II-ის ურთიერთობაზე დასავლეთის ძალებთან. კვიპროსის ბრძოლაზე. საზღვაო ბრძოლაზე ინებაჰთისთან. სულთან სელიმ II-ისა და მურად III-ის სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკაზე, მათ ბატონობაში მოქცეული ხალხები-

სადმი, კერძოდ, ფრანკებისადმი, სომხებისადმი, ებრაელებისადმი და სხვა ეროვნების ხალხებისადმი დამოკიდებულებაზე.

აქვე, საკმაოდ მნირად, მოთხრობილია მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობაზე საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში (გვ. 206-214); მოყვანილია ჯვაროსანთა ლაშქრობის პროგრამები. ნაშრომში საუბარია ახალი სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ, პოლონეთში არსებულ წინააღმდეგობებზე, მასთან ბრძოლებზე, ოსმალეთის საზღვაო ძალების უძლეველობაზე.

მესამე ტომის მესამე წიგნში წარმოდგენილია 1595-1640 წლების ამბები, საუბარია ანატოლიაში არსებული დაჯგუფებების, ირანთან ბრძოლების საკითხებზე. მურად IV-ის საშინაო საქმიანობაზე, ირანთან წარმოებულ ბრძოლებზე.

მეოთხე ტომი მოიცავს პერიოდს 1640 წლიდან 1774 წლამდე. ამ ტომის პირველი წიგნი იწყება ახალი ბრძოლების აღწერით, საუბარია ქოფრულუების დინასტიაზე, წარმოდგენილია კაზაკებთან ურთიერთობა, კრიტოსთან წარმოებული ბრძოლა, ბერძნებთან ურთიერთობა. ლაშქარსა და სასახლეს შორის გამართული ბრძოლები, სულთან იბრაჰიმის მკვლელობა. საუბარია ქვეყნის საშინაო წინააღმდეგობებზე. დუნაის საზღვარზე შექმნილ ვითარებაზე. გადმოცემულია ამბები ქოფრულუ მეჰმედ ფაშას გარდაცვალებამდე (1661 წლამდე). ვენეციასთან წარმოებული ბრძოლები. ქოფრულუ ფაზილ აჰმედ ფაშას გერმანელებთან და პოლონელებთან წარმოებული ბრძოლები; განხილულია ოსმალეთ-ვენეციის სამშვიდობო მოლაპარაკებანი. ქოფრულუ ფაზილ აჰმედ ფაშას გარდაცვალება. ლაშქრისა და ფინანსების მდგომარეობა. ოსმალთა გალაშქრება კაზაკებისა და რუსების წინააღმდეგ. უნგრეთის ახალი ბრძოლა, ვენის გარემოცვა, ქვეყნის შიგნით არსებული უწესრიგობანი, დასავლეთის ქვეყნების სავაჭრო ღონისძიებანი. ოსმალებისა და ქრისტიანთა კავშირს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობანი. კარლოვიცის ზავი (1699 წ.). ამით მთავრდება ამ ტომის პირველი ნაწილი.

მეორე ნაწილში წარმოდგენილია კარლოვიცის ზავის შედეგები, რუსული ინტრიგები. ფანარიოტების ახალი ოსმალური დიპლომატია, პრუსიის ომი კარლოს XII-სთან (1711 წელს). საშინაო არეულობანი

ქვეყანაში, სწავლული ეფენდიები, ელჩები, კონსულთა კორპუსები და ურთიერთობანი ქრისტიანთა ძალებთან. ანატოლიაში არსებული მდგომარეობა. ბრძოლა ირანთან. 1730 წლის პატრონ ხალილის აჯანყება. სულთან აჰმედ II-ის ტახტიდან ჩამოგდება. კიზლარ აღას შესაძლებლობანი. ავსტრიასთან და რუსეთთან ომი. ბელგრადის ხელშეკრულება (1739 წ.). ახალი წინააღმდეგობანი ირანთან. ეიალეთების მდგომარეობა. ოსმალეთ-რუსეთის ახალი ომი. ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება (1774).

იორგას ბოლო, მეხუთე ტომი მოიცავს 1774-1912 წლებს. იგი იწყება 1774 წლის ზავის შედეგებით, რუსეთ-ავსტრიის 1787-1792 წლების ომით. ამ ნაწილში განხილულია სელიმ III-ის ხანის დასაწყისი, ოსმალეთის იმპერია საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში. პოლონეთის საკითხი. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ეიალეთებში. ფაზვანდ ოღლუ ოსმან ფაშას და თეფედელენლი ალი ფაშას საქმიანობა. ბონაპარტის ეგვიპტეში შეჭრა. სელიმ III-ის ტახტიდან ჩამოგდება. მისი მემკვიდრის, მუსტაფა IV-ის სულთან მაჰმუდ II-ის ნაცვლად ტახტზე აყვანა. ბუქარესტის საზავო ხელშეკრულება (1812 წ.) და რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლები. ამის შემდეგ, წიგნის მეორე ნაწილში, გადმოცემულია მაჰმუდ II-ის წინააღმდეგ გალაშქრება დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ეიალეთებისა (1812-1821). სულთან მაჰმუდ II-ის ბრძოლა ბერძნების წინააღმდეგ. ბერძნების ეროვნული „ბერძნული" მიმდინარეობის ხელახალი დამკვიდრებისათვის წარმოებული ბრძოლები. ასევე ბრძოლები დასავლეთის ძალებთან, ომი რუსებთან. ადრიანოპოლის სამშვიდობო მოლაპარაკებანი (1829 წელი). ბერძენთა აჯანყების დასაწყისი. იანიჩართა ოჯახის გაუქმების შემდეგი პერიოდიდან რუსებთან დადებულ სამშვიდობო მოლაპარაკებანი (1826-1829 წლებში). ეგვიპტის საკითხი. ალი მეჰმედ ფაშას მიერ სირიის ხელში ჩაგდება. ოსმალთა დინასტიის უკვდავსაყოფად წარმოებული პირველი ბრძოლები.

მეხუთე ტომის მესამე ნაწილი იწყება განყოფილებით: ქრისტიან ხალხთა ბრძოლა ოსმალთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. სრუტეების შეთანხმების შემდეგ ყირიმის ომამდე, რუსეთის ინტრიგები (1841-1853 წლებში). თანზიმათის პერიოდი თურქეთში. ყირიმის ომის

ნინა პერიოდი. ყირიმის ომი და მისი შედეგები (1853-1856 წწ.). რუმინეთის ერთიანობისათვის წარმოებული ბრძოლები და რუმინული სამთავროების დანაწილება ოსმალთა სახელმწიფოს მიერ 1856-1862 წლებში. ევროპაში თურქთა დამკვიდრების ცდები. ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის არსებული წინააღმდეგობანი. ქრისტიანთა გამოღვიძება. ფინანსების უკმარისობა. ოსმალეთ-რუსეთის 1877-1878 წლების ომი და მისი შედეგები. თურქეთი ბერლინის სამშვიდობო მოლაპარაკების შემდეგ აბდულჰამიდ II-ის მმართველობამდე. ახალი საუკუნეები და ძველი გადმონაშთები.

"THE HISTORY OF THE OTTOMAN EMPIRE" BY NICOLAS JORGA

Nodar Shengelia

SUMMARY

"The History of the Ottoman Empire" in five volumes by the Romanian specialist in Ottoman history Nicolas Jorga has come out in Turkey. The five volumes cover the period 1300-1912. The author of the work was Rector of University, President of the Academy of Sciences, Chairman of Parliament, President of the country. He is considered to be an excellent historian in Romania. His works have been translated into German, French, Italian and other languages. He is one of the acknowledged and well-known historians in the world.